

ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
წევრ(ებ)ი: ლიანა კობესაშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ლ. კობესაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	203827083

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი თოფურიას ქ. N2
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი თოფურიას ქ. N2
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.waldorfschule.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Fwstbil.verein@gmail.com; verein@waldorfschule.ge;
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	32 2 545403; 32 2 545400

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 23 0000368389; 31.03.2023
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	03 და 04 აპრილი 2023 წ.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2023 წლის 31 მარტს გამოცემული ბრძანების თანახმად შექმნილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „გ.გ“ და „გ.დ“ კომპონენტებისა და „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმება.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტის დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს- იურისტს,ხარისხის უზრუნველყოფასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრს და სხვა პირებს.ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
460	421

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს და სერვისებს, როგორიცაა:ბანაკი, საერთაშორისო პროგრამები, სოციალური პროექტები, გამოფენა-გაყიდვები და სხვ. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ დადგემილ აქტივობებში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთა მშობლებიც.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. კოტოსაშვილი

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტი 3*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

VI. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*რჩევა*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.3.1		*სკოლამ შექმნას ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,რომლიც დაეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც თავის მხრივ პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.*
3.4.2		*სკოლამ უზრუნველყოს ბაღის ფართის გამოყოფა სკოლის ფართისგ*
3.4.7		*შესაძლებელია სკოლის მიერ გამოყენებულ იქნას სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესს ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდეს მყისიერი რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით.*
3.4.1.1 *3.4.1.6.*		*სკოლამ დაარეგულიროს საკითხი, იმგვარად, რომ მოსწავლე გაკვეთილების დასრულების შემდეგ,მშობლების მოსვლამდე ს კოლის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდეს მეთვალყურეობის გარეშე.* *სკოლის საქმეთამმართველის ოთახში არსებული დოკუმენაცია არ იყოს ხელმისაწვდომი უცხო პირისთვის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.4.4		*სკოლამ უსაფრთხოების მიზნით სველ წერტილებში არსებულ დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი ქიმიური სამუალებები განათავსო მოსწავლეთათვის მიუწვდომელ ადგილას.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

რეკომენდაციები არ გაცემულა

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი, კერძოდ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღწერილია სტანდარტის ინდიკატორების შესაბამისობის უზრუნველყოფის კონკრეტული აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები დამტკიცებული შესაბამისი პირის მიერ. ექსპერტთა მოსაზრებით დაგეგმილი აქტივობები და განხორციელების ვადები რეალისტურია და მიღწევადი.შესაბამისად, სტანდარტის შეფასება წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის(1 წლამდე ვადით) საფუძველზე ,,არ შეესაბამება" ჩანაცვლდა ,,მეტწილად შეესაბამებად".

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.3 პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ჯოხუსტო�d

3.3.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შინაგანაწესი, რომლის მე-10 მუხლი განსაზღვრავს სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის, როგორც სტრუქტურული ერთეულის და მისი წევრების საქმინობას. ხარისხის მართვის ჯგუფი შიდა სასკოლო მონიტორინგის განმახორციელებლი მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს: საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას და მათ პერიოდულ ადაპტირებას, სკოლის თემატური და შინაარსობრივი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებას, მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, საგნობრივი კათედრების წევრთა კომპეტენციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის შეფასებასა და მათი პროფესიული განვითარებისთვის ტრენინგების დაგეგმვა-განხორციელებას,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების სისტემის განხორციელებას, შედეგების ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და სხვ. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ წარმოდგენილია გაკვეთილებზე დასწრების ოქმები და დასწრების ანგარიშები, ჯგუფის საქმიანობის წლიური ანგარიში, სადაც გაანალიზებულია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებთან გასაუბრების მიხედვით სკოლაში არ არის გამოკვეთილი , რომ ხარისხის მართვა პროცესულია და ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც თავის მხრივ პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას შეუწყობდა ხელს. <u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობისა და ხარისხის პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც განსაზღვრულია სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობა, რომლის ანგარიში წარედგინება სკოლის ერთ-ერთ მმართველობით სტრუქტურულ ერთეულს-გაძღოლის კონფერენციას. დაწესებულების წარმომადენლების განმარტებით, შედეგების გაანალიზების საფუძველზე იგეგმება სკოლის საქმიანობაში შესაბამისი ინტერვენციები. ექსპერტებისთვის აღნიშნულის შესახებ რაიმე ტიპის მტკიცებულებები ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი არ იყო, გარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის ჯგუფის ანგარიშებისა,სკოლამ ვერ წარმოადგინა შემუშავებული და დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ნათლად იქნებოდა გამოკვეთილი სკოლის მმართველობითი (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა,ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ),ძირითადი (კურიკულუმის განვითარება სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა) და დამხამრე პროცესები(სხვადასხვა სერვისების განხორციელება,ემოციური და ფიზიკური უსაფრთხო გარემოს ფორმირების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და სხვ), შესაბამისად, ინდიკატორი ვერ იქნება <u>დაკმაყოფილებული.დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი,რომელიც ითვალისწინებს განცხადება/საჩივრის განხილვა და წარმოებაში მიღების საკითხებს (38-ე მუხლი), რომლის თანახმად, დისციპლინურმა საბჭომ საჩივრის ან განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება წარმოების დაწყების შესახებ,ხოლო ამავე შინაგანაწესის მიხედვით, დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია პირის განცხადება/საჩივრის, შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის ქმედებით დაირღვა შინაგანაწესის, მასწავლებლის კოდექსის, მოსწავლის კოდექსის მოთხოვნები ან მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამგვარად სკოლაში არსებობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმის დონეზე.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას აქვს დამტკიცებული შინაგანაწესი, თუმცა არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის, ვებ გვერდი სკოლის განმარტებით განახლების რეჟიმშია და ვიზიტის პერიოდში არ იყო ინფორმატიული. შინაგანაწესი არეგულირებს მასწავლებლების და ზოგიერთი თანამშრომლის ვალდებულებებს, მოსწავლეთა უფლებებს, ხოლო მშობლის /კანონერი წამომადენლის უფლებები განსაზღვრულია სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.პერსონალის კანონიერი უფლებები განსაზღვრულია შრომით ხელშეკრულებებში და სკოლის შინაგანაწესში.ინტერვიუს შედეგებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

.დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის შინაგანაწესი, დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (23.03.2023);
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის წესდება;
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (31.03.2023);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგებით სკოლის წარმომადგენლებთან,მასწავლებლებთან,მოსწავლეებთან, მშობლებთან.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

დაწესებულებას სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული საკითხების საზოგადოების ინფორმირების მიზნით შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომლის 24 -ე მუხლი განსაზღვრავს მშობლის ინფორმირების წესს, ამასთან დაწესებულების წარმოამდგენლების განმარტებით სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია მშობლისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით, აღნიშნული გადამოწმდა ექსპერტების მხრიდანაც სკოლის ელ. ფოსტის დათვალიერების გზით და დადასტურდა, რომ სკოლა აგზავნის სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო წერილებს მშობლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ზეპირი ფორმით ხდება მათთან დაკავშირება და სკოლის სხვადასხვა საკითხებზე ინფორმაციის მიღება, რომელიც შემდგომ საჭიროების შემთხვევაში განიხილება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შეხვედრებზე. აღნიშნულის დამადასტურებლად მოსწავლეთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხზე მათი მიმართვიანობის შედეგად, სკოლამ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა და შეიცვალა კონკრეტული რეგულაცია. ასევე მშობელთა ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე მოხდა სასწავლო დღეების გადახედვა და შაბათი დღის გამოთავისუფლება. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების, ვიზუალური (საინფორმაციო დაფა) და წარმოდგენილი დოკუმენტებით, სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების , უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების პროცედურული საკითხები და ეფექტიანი მექანიზმები.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

დაწესებულებაში სკოლის წესდებისა და შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის საქმიანობაში ჩართული სტრუქტურული ერთეულები-გამგეობა, რომელთა შემადგენლობაში სკოლის თანამშრომლებთან ერთად , წევრისა და გადაწყვეტილების მიღებისას სათათბირო ხმის სტატუსით განსაზღვრულია მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. აღნიშული სტრუქტურის ფუნქციებია: უზრუნველყოს და გააკონტროლოს სკოლის წინაშე არსებული ფუნქციების და ამოცანების შესრულება, დაამტკიცოს სკოლის გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით გათვალისწინებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოსცეს საორგანიზაციო - განმკარგულებელი აქტი – გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე და სხვ.ამასთან, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მოსწავლეთა ინიციატივები წახალისებულია და შესაძლებლობა ეძლევათ გაძღოლის კონფერენციის შაუმდგომლობით აქტიურად ჩაერთონ მშობლებთან ერთად დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში. მაგალითად მოსწავლეთა ინიციატივა თანაკლასელთა მხარდაჭერის მიზნით გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება. ამგვარად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სასკოლო საზოგადოების ინტერვიუებით დგინდება რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის შინაგანაწესი, დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (23.03.2023);
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის წესდება;
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (31.03.2023);
- ინტერვიუს შედეგებით სკოლის წარმომადგენლებთან,მასწავლებლებთან,მოსწავლეებთან, მშობლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. კოტოსაშვილი

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით, სკოლა თანამშრომლობს სერტიფიცირებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციები დადგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 21-ე მუხლით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით: შრომის სპეციალისტი ნერგავს და მართავს შრომის უსაფრთხოების სისტემას სკოლაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; აფასებს სამუშაო სივრცეში და სამუშაო პროცესებთან დაკავშირებით არსებულ რისკებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით, უკეთებს ანალიზს, შეფასებას და განსაზღვრავს პრევენციულ ღონისძიებებს; ასრულებს სხვა დავალებებს, სამუშაოებს, რაც დაკავშირებულია სკოლაში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფასთან და სხვ.

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან ,,მაგისტრი'', რომლის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ობიექტის დაცვას, სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილების შეზღუდვას , ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის საშუალებით ვედეომონიტორინგის განხორციელებას, სახანძრო სიგნალიზაციის მართვას და სხვ.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა მორიგეობა, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება (განრიგი ან სხვ) ვერ წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დავაფიქსირეთ გაკვეთილების დასრულების შემდგომ დაბალი კლასის მოსწავლის უმეთვალყუროდ ყოფნის ფაქტი სკოლაში და სკოლის ეზოში, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლის მშობლის დაგვიანების გამო,მოსწავლეს უწევდა სკოლის სივრცეში მოცდა, მნიშვნელოვანია სკოლამ დაარეგულიროს საკითხი, იმგვარად, რომ მოსწავლე გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მშობლების მოსვლამდე სკოლის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდეს მეთვალყურის გარეშე და დაცული იყოს მოსწავლის უსაფრთხოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით, სკოლამ წარმოადგინა სახანძრო მიწერილობის დოკუმენტი (2022 წ.), რომლის მიხედვით სკოლაში ფიქსირდებოდა რიგი შეუსაბამობა. სკოლის განმარტებით, დაწყებულია საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმების პროცედურები, თუმცა გაგზავნილი კორესპონდენცია წარმოდგენილი არ იყო. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა 2020 წლის 27 ნოემბერს სკოლის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ამასთან, დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ვიზიტის პერიოდში სკოლის მხრიდან წარმოდგენილ ვერ იქნა.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობას. სკოლის მეორე სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომლის აღჭურვილობა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ N41/ნ/01-23/ნ ბრძანებას. სამედიცინო კარადაში განთავსებული მედიკამენტების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი წამალი ვადაგასულია. ამასთან, ექიმი სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის მიზნით არ იყენებს ზემოაღნიშნული ბრძანებით დადგენილ ფორმებს. აღნიშულის გათვალისწინებით სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვალება.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი'' თუმცა, კანონმდებლობის შესაბამისად არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლამ წარმოადგინა 2020 წლის 24 თებერვლის ბრძანება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ (აღსანიშნავია,რომ ბრძანება არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებს), აღნიშნული პირის ფუნქციები არ არის დადგენილი არც ბრძანებით არ სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა , შინაგანაწესი და სხვ).

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (მე-8 მუხლი) განსაზღვრულია მულტიდისციპლინური ჯგუფის საქმიანობის წესი, რომლის თანახმად: ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: მულტიდისციპლინური ჯგუფის ხელმძღვანელი, სკოლის ფსიქოლოგი, სკოლის ექიმი.მულტიდისციპლინურ ჯგუფს შესაძლოა მიმართოს სკოლის დასაქმებულმა პირმა, მასწავლებელმა, მოსწავლემ ან/და მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომაგდენელმა. მიმართვის საფუძველი შესაძლოა იყოს: მოსწავლის ქცევა, მოსწავლის კლასთან ადაპტირება, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვის სირთულე, კონფლიქტი კლასში და სხვა.

მულტიდისციპლინური ჯგუფი განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის. განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს, მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის. უფლებამოსილია მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას მოსწავლეთა/კანონიერ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მოთხოვნით. ესწრება გაკვეთილებს სხვადასხვა კლასში, წინამდებარე წესით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და სხვ.

აღსანიშნავია,რომ სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლამდელი განათლების დაწესებულება- ბაღი, რომლის ფართი არ არის გამიჯნული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფართისგან, ბაღის და სკოლის აღსაზრდელები იყენებენ საზიარო სივრცეებს, რომელიც არ არის გამოყოფილი ერთმანეთისგან, რითაც ვერ იქნება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების უსაფრთხოება დაცული.

დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა შესაბამისი სამსახურების მიმართვა მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევის გარემოებების დადგენასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი კორესპონდენციის მიხედვით, ადგილი ქონდა მოსწავლის მიერ სკოლაში თვითდაზიანების ფაქტს. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ თვითდაზიანების ფაქტის აღმოჩენისთანავე სკოლა მოქმედებდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად (გამოიძახეს მშობლები და ჩართეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფსიქოლოგი, ეტაპობრივად მოხდა მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაცია), რასაც ადასტურებს დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი და ინტერვიუს შედეგები. თუმცა სკოლის მხრიდან არ განხორციელებულა მასწავლებლის მხრიდან სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის მოკვლევა თავისივე დადგენილი პროცედურებით (დისციპლინური წარმოება), აქვე უნდა აღინიშნოს , რომ სკოლის სტრუქტურულმა ერთულმა-გაძღოლის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება და მასწავლებელი დროებით განარიდა სასწავლო პროცესისგან, ასევე ჩვენთვის ბუნდოვანია ის საკითხი რა ღონისძიებები გაატარა სკოლამ იმ მოსწავლეებთან მიმართებით ვინც შეესწრო აღნიშნულ ფაქტს.

საყურადღებოა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს წარსულში არაერთი გადაცდომა ქონდა (ღობიდან გადაძრომა და გაპარვა, ჩაცმის წესის დარღვევა და სხვ.), რომელზეც სკოლამ თავისივე დადგენილი პროცედურებით არ მოახდინა რეაგირება. შესაბამისად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ვერ უზრუნველყოფს დადგენილი პროცედურების განხორციელებას, რითაც სტანდარტი ვერ იქნება დაკმაყოფილებული.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა დესტრუქციული ქცევით გამოწვეული პრობლემების და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის მართვაზე. სკოლამ ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერიოდში აღშნიშნა, რომ გამოიკვეთა დამატებით კიდევ ერთი ფსიქოლოგის საჭიროება, რომლის დასაქმებას უახლოეს პერიოდში გეგმავს. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემოციურად უსაფრთხო გარემოს ფორმირებას.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა მთელ პერიმეტრზე, მათ შორის სველ წერტილებში. სკოლას დადგენილი აქვს დამლეგებლების მუშაობის განრიგი, სამუშო სივრცეები, სველი წერტილების და სამუშაო კაბინეტების დასუფთავების წესები. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლაში საქმეთა მმართველის მიერ 2023 წლის 12 თებერვალს დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის'' დოკუმენტი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, დაიცვას ფიზიკური პირის უფლებები და უზრუნველყოს დამუშავების გამჭვირვალობა. დადგენილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირების საკითხები, სუბიექტის უფლებების ეფექტური დაცვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა ეფექტური შესრულების მიზნით, სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი - საქმეთა მმართველი. ამასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების გასაჯაროების ისეთ საკითხებს როგორიცაა:მოსწავლის ფოტო-ვიდეო მასალის სასწავლო მიზნით გამოყენება.

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-13 მუხლით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების სტანდარტი,რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: მონაცემთა დაცვა, როგორც დამუშავების პროცესის განუყოფელი თვისება; დამუშავების უსაფრთხოებისთვის დანერგილი პროცედურების სრული ფუნქციონალურობა, დამუშავების მიზნების ან სუბიექტის უფლებების კომპრომისის გარეშე; დამუშავების სრული ციკლის განმავლობაში ფუნქციონირება; გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სუბიექტის წინაშე; დამუშავების პროცესის ორიენტირება სუბიექტების უფლებათა დაცვის პრიორიტეტიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით: სკოლა, არაუმეტეს 6 თვიანი შუალედით, აფასებს მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების სტანდარტების ადეკვატურობასა და ეფექტიანობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ განახლებას.

სკოლაში ვიზუალური დათვალიერებისას საქმეთა მმართველის ოთახში განთავსებული და ხელმისაწვდომი იყო მთელი რიგი დოკუმენტაცია (პირადი საქმეები მოსწავლეთა, თანამშრომლეთა და სხვ.), ასევე სკოლის თანამშრომლებს და მოსწავლეებს საშუალება აქვთ დაუბრკოლებლად მოხვდენენ ამ სივრცეში სატელეფონო კავშირის დამყარების მიზნით (მოსწავლეებს შინაგანაწესის მიხედვით შეზღუდული აქვთ მობილურის გამოყენება, რის თვისაც იყენებენ სკოლის საქმეთა მმართველის ოთახში არსებულ ტელეფონს), მნიშვნელოვანია სკოლამ გაითვალისწინოს აღნიშნული, დაცული ქონდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირადი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია.შესაბამისად, სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროცესების უსაფრთხოების დადგენის მიზნით პერიოდული შეფასება ხორციელდება კითხვარებით, თუმცა აღნიშნული სკოლამ ვერ წარმოადგინა. შესაძლებელია სკოლის მიერ გამოყენებულ იქნას სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესს ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდეს მყისიერი რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით. აღმიშნულის გათვალისწინებით სკოლა არ ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს არ იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის შინაგანაწესი, დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (23.03.2023);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის წესდება;
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (31.03.2023);
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ხელშეკრულება და პორტფოლიო;
- ექიმთან დადებული ხელშეკრულებით, სამედიცინო კაბინეტი ვიზუალური დათვალიერებით;
- დაცვის სასახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- პასყხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანებით;
- ,,ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის''დოკუმენტი დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (12.02.2023);
- სკოლის ფსიქოლოგთან ინტერვიუს შედეგებით;
- ინტერვიუს შედეგებით სკოლის წარმომადგენლებთან,მასწავლებლებთან,მოსწავლეებთან, მშობლებთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილი აქვს ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის შინაგანაწესის (დამტკიცებული 2023 წლის 23 მარტს) მე-3 თავში. სკოლა აღიარებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებულ უფლებას- ხარისხიანი განათლების მიღებას და იღებს პაუხისმგებლობას უზრუნველყოს:

- სკოლაში არსებულ სერვისებთან მოსწავლის ხელმისაწვდომობა,
- გამოხატვის თავისუფლება,
- ჩართვა სკოლაში მიმდინარე პროცესებში.

მოსწავლის ვალდებულებების ნაწილში სკოლას განსაზღვრული აქვს:

- სწავლის ვალდებულება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დისციპლინის დაცვა,
- სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული სკოლაში მოქმედი ნორმების დაცვა.

მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი სკოლის შინაგანაწესს, არ იცნობდნენ, თუმცა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობას, გამოხატვის თავისუფლების შეუზღუდაობას ადასტურებდნენ.

სკოლის შინაგანაწესის (მუხლი 33. მოსწავლის ქცევის წესი, პუნქტი 5.3.) მიხედვით : „IX-XII კლასის მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავად მიიღონ გადაწყვეტილება ტელეფონის ჩაბარების/დატოვების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ერთხელ მაინც ამოიღებს ტელეფონს მოხდება მისი გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში, საკითხი გადის გაძღოლის კონფერენციაზე, ხოლო მესამედ განმეორების შემთხვევაში შესაძლოა გადაიხედოს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება“. ამ შემთხვევაში ბუნდოვანია რა იგულისხმება ხელშეკრულების გადახედვაში, თუმცა მოსწავლე და განსაკუთრებით IX კლასელი არ უნდა აღმოჩნდეს სასწავლო პროცესის მიღმა. შინაგანაწესის 35-ე მუხლით „დისციპლინური გადაცდომის გამო მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას (უკიდურეს შემთხვევაში) იღებს გაძღოლის კონფერენცია დისციპლინური საბჭოს წარდგინებით. მიუხედავად იმისა, რომ შინაგანაწესში არის ცალსახა ჩანაწერი დისციპლინური საბჭოს შესახებ, თუმცა მოსწავლეები მსგავს ორგანოს არ იცნობდნენ და ცხადია არც პროცედურა, თუ როგორ უნდა დაიცვან საკუთარი უფლებები და ინტერესები მოსწავლეებმა არ იციან. ამასთან , სკოლას არ ქონდა დაწყებული დისციპლინური მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით(კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე მოსწავლის ან მასწავლებლის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის შესახებ), დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირება სახდელების დაკისრებით, სკოლის საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული. ექსპერტების მხრიდან დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, რომ სკოლამ უნდა შექმნას ეფექტიანი, გამჭვირვალე საჩივრების განხილვის სისტემა, ასევე იმოქმედოს საკუთარი დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირება როგორც მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების როგორც შიდა სასკოლო, ასევე სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე.

დაწესებულების მიერ წარდმოგენილ იქნა ,,ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა- ბაღის დრესკოდის პოლიტიკა ‘’ (12.09.2022), რომლის თანახმად განსაზღვულია სხვადასხვა სასკოლო აქტივობებზე გამოსაყენებელი სპეციალური სამოსის ჩაცმის ვალდებულება (ცეკვა, სპორტის გაკვეთილი,ევრითმია და სხვ,), ასევე პოლიტიკის დოკუმენტში ვკითხულობთ:,,სკოლის მოთხოვნაა, ბავშვები ისე იყვნენ ჩაცმულნი, რომ საშუალება ჰქონდეთ ადვილად და კომფორტულად იმოძრაონ და ითამაშონ. უმჯობესია, მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე, თავი ავარიდოთ ისეთი ტანსაცმლის ჩაცმას, როგორიც არის: ზედმეტად ღია სამოსი: ღრმა დეკოლტე, შიშველი მუცელი, დაბალწელიანი შარვალი, ბარძაყის ნახევარზე მოკლე სიგრძის შორტები და კაბები; ნეკროფილური, ჰორორის, რეკლამის და აგრესიული გამოსახულებების შემცველი სამოსი;ნეონის და სხვა შხამიანი ფერების სამოსი; ქერცლიანი და ბრჭყვიალა სამოსი; მეტისმეტად მოშვებული ან ვიწრო სამოსი. აღნიშნულ მოთხოვნებთან ერთად, სკოლა იტოვებს უფლებას, გადაწყვიტოს, შეესატყვისება თუ არა ჩაცმა ან გარეგნული იერი სკოლის დრესკოდს.

მოსწავლის მხრიდან ვალდებულებების დარღვევის ფაქტებზე შემუშავებულია რეაგირების შემდეგი ეტაპები:VII – VIII კლასის ჩათვლით, კლასის მასწავლებლის მიერ განხორციელებული ქმედებები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. გაფრთხილება, საუბარი (მოსწავლე).

2. შეხსენება, გაფრთხილება, საუბარი (მოსწავლე).

3. გაფრთხილება, საუბარი (მშობელი).

4. მშობელთან დაკავშირება, მოსწავლის სახლში გაშვება.

IX – XII კლასის ჩათვლით, კლასის მზრუნველის მიერ განხორციელებული ქმედებები:

1. საუბარი, ახსნა (მოსწავლე).

2. დრესკოდის ჯგუფთან შეხვედრა''

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ **კონკრეტულ მოსწავლეთან მიმართებით** სკოლამ ჩათვლა, რომ მისი ჩაცმულობა ეწინააღმდეგებოდა დადგენილ დრესკოდის ნორმას , რის გამოც მას დადგენილი პროცედურის მიხედვით გაესაუბრა მასწავლებელი.

ექსპერტები დავინტერესდით, სკოლაში არსებული პრაქტიკის შესახებ იმ მოსწავლეებთან მიმართებით ვინც არღვევდა დრესკოდს და სკოლა უკან აბრუნებდა მოსწავლეს, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა დაგვიდასტურა , რომ მოსწავლის უკან გაბრუნების ფაქტები ყოფილა, რომელსაც წინ უძღოდა მშობლის გაფრთხილება.

მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოსწავლის სახლში გაშვების ნაცვლად სხვა ზომა დაადგინოს, ვინაიდან აღნიშნული ქმედებით,მოსწავლეს ეზღუდება უფლება მიიღოს განათლება,რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონთან ,,ზოგადი განათლების შესახებ;''ამასთან, დოკუმენტში ნათლად უნდა იყოს წარმოჩენილი ის აკრძალვები და შეზრუდვები და ჩანაწერი ,, სკოლა იტოვებს უფლებას, გადაწყვიტოს, შეესატყვისება თუ არა ჩაცმა ან გარეგნული იერი სკოლის დრესკოდს'' ბუნდოვანებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატებს, ვინაიდან მოსწავლისთვის წანასწარ ვერ იქნება ცნობილი რა შემთხვევაში შეიძლება არ იყოს შესატყვისი და მიუღებელი მისი ჩაცმულობა სკოლისთვის.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სკოლის შინაგანაწესის მესამე თავის 21-ე მუხლი განსაზღვრავს მოსწავლის უფლებებსა და ვალდებულებებს, ხოლო 34-ე -41 ე მუხლებით განსაზღვრულია მოსწავლის დიციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, დისციპლინური სახდელის სახეები, დისციპლინური საბჭო და მისი საქმიანობის წესი, თუმცა სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და გაზიარება არაა უზრუნველყოფილი. სკოლაში ვიზიტისას შინაგანაწესის ხელმისაწვდომობა (თვალსჩინოდ გამოკრული საინფორმაციო დაფაზე ან/და სხვა ხერხით მისი სასკოლო საზოგადოებისათვის გასაჯაროება, ვებგვერდზე განთავსება) არ დადასტურდა. ასევე სკოლამ ვერ/არ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ აღნიშნული დოკუმენტის გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სკოლის განცხადებით ვებგვერდი დამუშავების პროცესშია. ინტერვიუში მონაწილე მოსწავლეები ვერ იხსენებდნენ რაიმე დოკუმენტს/ნორმას რეგულაციის დონეზე საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, გარდა მიმდინარე სასწავლო წელს მიღებული ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის დრესკოდის პოლიტიკის დოკუმენტისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტურად გაწერილი მოსწავლის მხრიდან საჩივრის წარდგენის პროცედურები. გასაჩვრებასთან დაკავშირებული რეგულაციები. არც მოსწავლეები იცნობდნენ მსგავს რეგულაციას, თუმცა ინტერვიუს დროს ასახელებდნენ შემთხვევებს როდესაც საკითხის განსახილველად მიმართეს გაძღოლის კონფერენციას, რომელმაც მათი საკითხი განიხილა და დააკმაყოფილა. შინაგანაწესში ნახსენებია დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირების ეტაპების შესახებ დოკუმენტი, რომელიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია, თუმცა არაფორმალურად და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება რომ სკოლა რეაგირებს მოსწავლეთა მიმართვანობაზე.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებები.შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს კანონდმებლობის შესაბამისი ხელშეკრულება , რომელიც აზუსტებს მომსახურების პირობებს, უფლებებს, ვალდებულებებს და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა- ბაღის დრესკოდის პოლიტიკა (12.09.2022);
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის შინაგანაწესი, დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (23.03.2023);
- ინტერვიუს შედეგებით სასკოლო საზოგადოებასთან;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

4.1.2 სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

დაწესებულებას შინაგანაწესით (მუხლი 22. „სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის პირობები. შეფასების სისტემა. მშობლის ინფორმირების წესი'') განსაზღვრული აქვს პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა ასაკი კერძოდ, „სკოლის პირველ კლასში ჩაირიცხებიან ბავშვები, რომლებსაც 6 წელი შეუსრულდებათ მაისის ბოლომდე''. აღნიშნული ჩანაწერი ზღუდავს იმ ბავშვების უფლებას, რომელთაც 6 წელი უსრულდებათ 1 ოქტომბრამდე. (საქართველო კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 6. პუნქტი 6. „ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც პირს 1 ოქტომბრამდე უსრულდება"). ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პირველ კლასში სკოლა იღებს ერთ კლასში 30-32 მოსწავლეს (აღნიშნულს ათანხმებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, თუმცა დოკუმენტი ვერ წარმოადგინა), ხოლო განაცხადების გადარჩევა (გასულის წლის მაგალითზე 80 მდე მსურველის განაცხადი იყო) ხდება მოსწავლეებთან სხვადასხვა უნარების განსაზღვრის შემდგომ, ჩვენს კითხვაზე როგორ არის სკოლის მხრიდან დადგენილი კრიტერიუმები ან რამდენად გამჭვირვალეა მოსწავლეთა გადარჩევის პროცესი, სკოლამ ამ მიზნით წარმოადგინა ,,პირველკლასელთა მიღების წესი '', რომლის მიხედვით: ,,ინკლუზიური ბავშვების მიღება კლასში შეზღუდულია -1-2 ბავშვი ,... ბავშვების ჯგუფთან პროცესის წამყვანი მასწავლებელი მუშაობს (დაგეგმილი პროგრამით), ხოლო დამკვირვებლები აკეთებენ დაკვირვების ჩანაწერებს; დამკვირვებლები აკვირდებიან: როგორია ბავშვის ინტერესი, მოწიწება, პასუხისმგებლობის გრძნობა, მოქნილობა, მოხერხებულობა, კონცენტრაცია, წამყვანი მხარე (მარჯვენა-მარცხენა), სიფხიზლე, სიფრთხილე, თამაშში ჩართულობა, სოციალურობა, რიტმის შეგრძნება.....თუ ბავშვი არ გაჰყვა დამკვირვებელს, დამკვირვებელი (საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში -მშობელთან ერთად) ამზადებს ბავშვს სამუშაო პროცესში ჩასართავად (მაგ., დამხმარე სივრცეში ერთობლივად ხატავენ) და შემდგომ შეჰყავს ის ჯგუფთან სამუშაოდ; **თუ ბავშვი 10-15 წუთის შემდეგაც არ შედის სამუშაოდ, ვერ ხდება დაკვირვება - სამწუხაროდ გვიწევს უარის თქმა! ***თუ ბავშვი ჯგუფთან ვერ ერთვება მუშაობაში, დამკვირვებელი - საწყის ეტაპზე - მას ეხმარება, შემდგომ დამოუკიდებელი მუშაობის უფლებას აძლევს. თუ ესეც ვერ მოხერხდა - სამწუხაროდ გვიწევს უარის თქმა!''. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მონაცემების დამუშავების დროს, მართვის საინფორმაციო სისტემის eschool ბაზებში ფიქსირდებოდა მოსწავლეები, რომელთა ასაკი არ შეესაბამებოდა სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნას, ასევე კითხვაზე მობილობის შემთხვევაში სხვა კლასებშიც თუ იქნებოდა ასაკის შემზღუდავი პირობა გამოყენებული, რაზეც სკოლამ გვიპასუხა, რომ აღარ იყენებენ ამ მიდგომას ასაკის შეზღუდვასთან დაკავშირებით, თუმცა სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებული სარეგისტრაციო ფორმით საპირისპირო დგინდება, მნიშნველოვანია სკოლამ დანერგოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სკოლის მოსწავლეების მიღებისა და მობილობისას.

წარმოდგენილი შინაგანაწესის მიხედვით მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია, ხოლო მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა ხორციელდება გაძღოლის კონფერენციის გადაწყვეტილებით ეროვნული სასაწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლამ მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის მექანიზმები ვერ წარმოადგინა. ერთადერთი ჩანაწერია ამის შესახებ შინაგანწესში, სადაც განმარტებულია, რომ საქმეთა მმართველი გაძღოლის კონფერენციასთან შეთანხმებით ახორციელებს მოსწავლის სტატუსის მოპოვება/შეჩერება/შეწყვეტას. მართვის საინფორმაციო სისტემაში შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამრიგად, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების ნაწილი აქვს სკოლას შემუშავებული, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ ვერ იქნა დადასტურებული შინაგანაწესის და პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესის გამჭვირვალობა, შესაბამისად აღნიშნული მექანიზმების გამჭვირვალობაც არ დასტურდება.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

მართვის საინფორმაციო სისტემაში შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მონაცემების დამუშავების დროს, ბაზებში ფიქსირდებოდა მოსწავლეები, რომელთა ასაკი არ შეესაბამებოდა სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნას (პირველ კლასში მიღების წესი), ასევე კითხვაზე მობილობის შემთხვევაში სხვა კლასებშიც თუ გამოიყენება ასაკის შემზღუდავი პირობა, რაზეც სკოლამ გვიპასუხა, რომ აღარ იყენებენ ამ მიდგომას ასაკის შეზღუდვასთან დაკავშირებით, თუმცა სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებული სარეგისტრაციო ფორმით და თავისივე დადგენილი წესით საპირისპირო დგინდება, მნიშვნელოვანია სკოლამ დანერგოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სკოლის მოსწავლეების მიღებისა და მობილობისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე სკოლაში მობილობის პროცესი,მათ შორის მობილობაზე უარის თქმის საფუძველი უნდა იყოს გამჭვირვალე და კანონთან შესაბამისი პროცედურებით დადგენილი.კერძოდ, დოკუმენტების შესწავლისას დადგინდა, რომ მაგალითად ერთ-ერთი მოსწავლის სხვა სკოლიდან უკან გადმოსვლის თაობაზე , გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გაძღოლის კონფერენციაზე. სხდომის ოქმით იკვეთება (გაძღოლის კონფერენცია ოქმი N 25;27.02.2023), რომ აღნიშნული მოსწავლის მხრიდან წარსულში ჰქონდა სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომებს ადგილი, საბოლოოდ სკოლა დაკვირვების შედეგად მიიღებდა გადაწყვეტილებას (სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების შეჯერების საფუძველზე) მის უკან გადმოსვლის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას უნდა ქონდეს ისეთი მექანიზმები შემუშავებული, რომლითაც არ დაირღვევა მოსწავლის უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება.

მოსწავლეთა ჩარიცხვასთან მიმართებით სკოლა თავისივე დადგენილი წესით არ ხელმძღვანელობს, ხოლო მობილობისას რაიმე შეზღუდვა ან წინაპირობა სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში არ ფიქსირდება. შესაბამისად,აღნიშნულით დარღვეულია სტანდარტის ინდიკატორი.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

3 სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობ ების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც სავალდებულო დამატებით, ასევე არასავალდებულო დამატებით საგნებს. არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ნებაყოფლობითია მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამატებითი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაზიარება საინფორმაციო შეხვედრებით ხორციელდება (მშობლებთან, მოსწავლეებთან) და თანაბრად ხელისაწვდომია მოსწავლეებისათვის. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა ვერ დადასტურდა.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

. სკოლაში სასწავლო პროცესი განსხვავებული ბადით, ეპოქებით, მიმდინარეობს. ინფორმაცია ეპოქებზე და ზოგადად საგაკვეთილო ცხრილზე სკოლის საინფორმაციო დაფაზეა ხელმისაწვდომი, .ხოლო სკოლის დამატებითი მომსახურება, ინფორმაცია დამატებითი პროგრამებისა და სერვისების, სკოლაში მიმდინარე პროექტების შესახებ არ იყო წარმოდგენილი არც საინფორმაციო დაფაზე და არც ვებგვერდზე, თუმცა სკოლაში ვიზიტის დროს მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მშობლები ინფორმირებული არიან სკოლის სხვადასხვა პროგრამებზე და სერვისებზე, სასწავლო წლის დასაწყისში საერთო შეხვედრებზე ხდება ინფორმაციის გაზიარება სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, ხოლო კლასის მასწავლებელბის მეშვეობით მოსწვალეების ინფორმირება კლასის საათის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მიწოდებული სერვისები მრავალფეროვანი და არადისკრიმინაციულია რაზეც ერთხმად საუბრობენ მოსწავლეების და მშობლები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის კავშირის შინაგანაწესი, დამტკიცებული საქმეთა მმართველის მიერ (23.03.2023);
- ინტერვიუს შედეგებით სასკოლო საზოგადოებასთან;
- პირველკლასელთა მიღების წესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

დაწესებულების შინაგანაწესის მე-16 მუხლში სადაც სკოლის ფსიქოლოგზეა საუბარი განმარტებულია ,რომ ფსიქოლოგის ფუნქციაში შედის მოსწავლის თანატოლთა შორის თვითდამკვიდრებისა და სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა. აღნიშნული ხელშეწყობის მექანიზმები სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლამ წარმოადგინა ცალკე დოკუმენტი „პირველკლასელთა მიღების წესი“, რომლის მიხედვითაც, მოსწავლის პირველკლასში მიღებას წინ უძღვის სამუშაო შეხვედრები მოსწავლეთა მშობლებთან (ორივე მშობელი) და ინდივიდუალური და ჯგუფური დაკვირვება თვითონ ბავშვებზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ბავშვზე დაკვირვების შედეგები შესაძლებელია გახდეს მოსწავლისათვის უარის თქმის საფუძველი. **კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებით,**ადმინისტრაციის მხრიდან იყო განმარტებული,რომ სკოლის ფსიქოლოგი მომხდარი ფაქტის შემდეგ დაუკავშირდა მოსწავლის ფსიქოლოგს (კერძო), ასევე სკოლამ მოაწყო რამდენიმე შეხვედრა მოსწავლის მშობლებთან .სკოლის განმარტებით მოსწავლე უკვე ესწრება საგაკვეთილო პროცესს. ასევე მომხდარი ფაქტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეზონანსულობიდან გამომდინარე შეხვედრები ჩატარდა კონკრეტული კლასის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთანაც, სკოლის მხრიდან პერსონალური მონაცემების და დეტალების გასაჯაროების გარეშე. ამრიგად, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარმოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

მოსწავლეებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას ახალ გარემოში, თუმცა კონკრეტული ნორმები, მექანიზმები გარდა იმისა რომ დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს ახალ მოსწავლეს, დასახელებული არ ყოფილა. ამასთან, სკოლის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მოსწავლეთა მობილობის პროცესში გაკვეთილზე დასწრების ორ კვირიანი პრაქტიკა, რა დროსაც მოსწავლე აკვირდება ახალ გარემოს და სურვილის შემთხვევაში უცხადებს მშობლებს თანხმობას ამ სკოლაში გადმოსვლის შესახებ. აღნიშნული დგინდება სკოლის სტრუქტურული ერთეულის -გაძღოლის კონფერენციის სხდომის ოქმით, სადაც აღწერილია ერთ-ერთი მოსწავლის სხვა სკოლიდან უკან გადმოსვლის სურვილი, რაზეც წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება მოსწავლე სკოლაში სტუმრის სტატუსით მოვიდეს, რის შემდგომაც თავად სკოლა განსაზღვრავდა მისი მობილობის საკითხს.აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას უნდა ქონდეს ისეთი მექანიზმები შემუშავებული, რომლითაც არ დაირღვევა მოსწავლის უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება და სრულფასოვნად იყოს ჩართული ორი კვირის განმავლობაში სასწავლო პროცესში. ინტერვიუს შედეგების მიხედვით სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეს ადაპტირდეს სასწავლო გარემოსთან.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ, მოსწავლეები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას მასწავლებლებისაგან. მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას იყენებენ მოსწავლეთა სასწავლო შედეგებს. მექანიზმი ან/და მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის ინსტრუმენტები სკოლას არ წარმოუდგენია. მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროების შეთხვევაში სკოლა სთავაზობს დამატებით გაკვეთილებს მოსწავლეს. ინტერვიუს შედეგების მიხედვით სკოლა სთავაზობს სათანადო მხარდაჭერას მოსწავლეს აკადმიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლას დოკუმენტი, სადაც განსაზღვრული იქნებოდა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმი/ინსტრუმენტი/პროცედურა არ წარმოუდგენია. თუმცა მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს მოიყვანეს მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ მიმართეს ადმინისტრაციას და როგორ შეუძინა მან სპორტული ინვენტარი.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ინიცირების პროცედურა, განხილვის ვადები და პირობები. თუმცა სკოლაში ფუნქციონირებს გაცვლითი პროგრამა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ინფორმაცია ერთერთი მოსწავლის შესახებ, რომელიც უნდა გაემგზავროს გერმანიაში და დაეწროს იქ სასწავლო პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არაფორმალური განათლება პრიორიტეტულია და მხარდაჭერილია, კერძოდ სხვადასხვა ბანაკების, ექსკურსიების, კლუბების ფუნქციონირება. სკოლა ასევე ახორციელებს სოციალურ პროექტებს, რომელზედაც ინფორაცია ვიზიტის პრიოდში მასწავლებლებთან ინტერვიუთი იქნა მიღებული.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის მხრიდან მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ რაიმე ტიპის უკუკავშირი ან კვლევის ინსტრუმენტი არ მოუწოდებია.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაძღოლის კონფერენციის ოქმებით მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის შესახებ;
- სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სკოლას მოსწავლეების კარიერული მხარდაჭერის მიზნით შემუშავებული/გაწერილი შესაბამისი სერვისი/მექანიზმი და/ან განხორციელებული პრაქტიკა არ წარმოუდგენია. თუმცა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში არის სხვადასხვა სახელოსნოები, რომელიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლოს სხვადასხვა ხელობებს. ამასთან სკოლის წარმოამდგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს მოკლევადიანი პროფესიული კურსების დანერგვას სკოლის ბაზაზე, რისთვისაც შესაბამის მოსამზადებელ სამუშაოებს ახორციელებს.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში მსგავი მომსახურების შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა მოპოვებული.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას რაიმე მექანიზმი, თუ როგორ იკვლევს კურსდამთავრებულთა დასაქმებას არ წარმოუდგენია, თუმცა ინტერვიუს პროცესში იხსნებდნენ კერძო შემთხვევებს კურსდამთავრებულთა წარმატებული კარიერის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

..

4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ კანონმდებლობით შეფასებული 8 სსსმ მოსწავლე, რომელთაგან მართვის საინფორმაციო ბაზაში ფიქსირდებოდა მხოლოდ 4; სსსმ მოსწავლეებთან, მათი სასწავლო პროცესში ჩართვის მექანიზმი სკოლას არ წარმოუდგენია. სსსმ მოსწავლეები სასწავლო პროცესში ჩართულები არიან, თუმცა თითოეული ამ მოსწავლისათვის ისგ ჯგუფი განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, კანონმდებლობის მიხედვით არ იყო ფორმირებული ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ გეგმებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. კოტოსაშვილი

და საჭიროებებზე. შერჩევითი გადამოწმებისას ინდ. გეგმები არ იყო შედგენილი იმ საგნებში რაც მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნაში იყო მითითებული . სკოლას არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სკოლის წარმომადგენელთან საუბრისას გამოირკვა, რომ სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ გეგმებზე მუშაობს სკოლის მულტიდისციპლინური ჯგუფი. მულტიდისციპლინური ჯგუფის საქმიანობა განსაზღვრულია ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ჯგუფს შესაძლოა მიმართოს სკოლაში დასაქმებულმა პირმა, მასწავლებელმა, მოსწავლემ ან/და მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომაგდენელმა. მიმართვის საფუძველი შესაძლოა იყოს: მოსწავლის ქცევა, მოსწავლის კლასთან ადაპტირება, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვის სირთულე, კონფლიქტი კლასში და სხვა. მულტიდისციპლინური ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: მულტიდისციპლინური ჯგუფის ხელმძღვანელი, სკოლის ფსიქოლოგი, სკოლის ექიმი.

დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა:

- ინკლუზიური განათლების შიდამონიტორინგის წესი და ინსტრუმენტი;
- შიდამონიტორინგის მიზნით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება, მისი უფლებამოილების ფარგლები და

საქმიანობის ამსახველი მასალა და სხვ.

შესაბამისად, სკოლაში არ მიმდინარეობს ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების,აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N 16/ნ ბრძანებით დადგენილი წესები და პროცედურები.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

დაწეებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურების თაობაზე გაწერილი სერვისები და/ან მომსახურების მექანიზმები არ წარმოუდგენია. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში არ ჩანს სსსმ მოსწავლის აკადემიური შედეგების მონიტორინგის ნაწილი. სკოლას არ წარმოუდგენია ვიზიტის პერიოდში მოსწავლის მშობლის უკუკავშირი.<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ერთ წლამდე ვადაში ითვალისწინებს აღნიშნული ხარვეზის შესაბამისობაში მოყვანვას.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლეთა შეფასების დასკვნებით;
- მართვის საინფორმაციო სისტემით;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდ. გეგმებით;
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დამტკიცებული სამქეთა მმართველის მიერ (31.03.2023);
- ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. კოტოსაშვილი

4.2.4 **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დაწესებულებაში ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება გახანგრძლივებული სწავლების სახით. სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება. გახანგრძლივებული საწავლება მიმდინარეობს განსაზღვრულ დრომდე შესაბამისი პროგრამით, რომლის განხროციელებას უზრუნველყოფს კანონმდებლობით დასაქმებული პირი.

სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომელიც სკოლას იჯარის სახით აქვს გადაცემული. წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულება, ბიზნეს ოპერატორის რეგისტრაციის დოკუმენტი, წყლის უვნებლობის ხარისხის შემოწმების დოკუმენტი.

სკოლის საკუთარებაშია ავტობუსი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მიზნობრივი აქტივობებისთვის. სკოლამ წარმოადგინა სატრასპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე მძღოლის მართვის სარეგისტრაციო მოწმობები.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნაბაყოფლობითი პრინციპით, მშობელთა კრებებზე მიმდინარეობს სერვისების შეთავაზება და შერჩევა, ამასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამები შეთანხმებულია სკოლის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, ხოლო მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს შესაბამისი პირი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წარმატებით ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, რომლის წევრები სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებშიც იღებენ მონაწილეობას.

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება დაწესებულებაში არსებული უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამატებითი მომსახურების ჩამონათვალი და პროგრამები;
- ხელშეკრულება კვების ობიექტის იჯარით ფორმმით გადაცემის შესახებ;
- წყლის ხარისხის შემოწმების დოკუმენტაციით;
- დამატებითი სერვისების მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ავტობუსის ტექნიკური დათვალიერების და მძღო;ოს დოკუმნეტაციით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

29.05.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ჯიბუტაძე